საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი № 1

ქ. თბილისი **22 ოქტომბერი 2019 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის

II სპეციალიზებული ქვეკომისიის (შემდგომში - ქვეკომისიის) წევრები:

1. **გიორგი წოწკოლაური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, II ქვეკომისიის თავმჯდომარე;
2. **თამილა ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, II ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **კახამერ ძიმისტარიშვილი** - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, ქვეკომისიის წევრი;
4. **გიორგი ჭავჭავაძე** - სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ქვეკომისიის წევრი;
5. **შორენა ოქროპირიძე** - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ქვეკომისიის წევრი;
6. **თედო ისაკაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქვეკომისიის წევრი.

ქვეკომისიის სხდომის დღის წესრიგი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს თანამშრომლებთან (შემდგომში - თანამშრომელი) გასაუბრების ფორმატის, შესაფასებელი კრიტერიუმების (უნარები), შეფასების მექანიზმის და ტექნიკურ - ორგანიზაციულ საკითხების განსაზღვრა, თანამშრომლების ზოგადი კომპეტენციებისა და უნარების, შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო პასუხისმგებლობის შეფასებისა და შესაბამის სსიპ-ებში მათ დანიშვნასთან/გადაყვანასთან დაკავშირებით რეკომედანციების გაცემა.

1. **გასაუბრების ფორმატის, თემატიკისა და გრაფიკის შემუშავება:**

მომხსენებელი – გიორგი წოწკოლაური

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი **22 ოქტომბერი 2019 წ.**

ქვეკომისიის თავმჯდომარემ მოახსენა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2019 წლის 16 ოქტომბრის N 01-306/ო ბრძანების (შემდგომში - ბრძანება) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქვეკომისიების ამოცანაა ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებასთან/განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის N487 დადგენილებისა და მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში დასაქმებულთა შესაბამის სსიპ-ში დანიშვნის/გადაყვანის თაობაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, მათი ზოგადი კომპეტენციებისა და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების, შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო პასუხისმგებლობის შეფასების გათვალისწინებით. აღინიშნა, რომ ქვეკომისიის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

ქვეკომისიის მიერ, დღის წესრიგით განსაზღვრულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს თანამშრომლებთან გასაუბრების ფორმატის, თემატიკის, შეფასების მეთოდის და გრაფიკის შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია და იმსჯელა:

გასაუბრება წარიმართოს კანდიდატის ქვეკომისიის სხდომაზე გამოცხადების, მათ შორის, ჩვეული სამუშაო დღის წესრიგისა და დაკისრებული ფუნქციების განხორციელების არსებითი შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, ქვეკომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დისტანციური (ელექტრონული) საშუალებით. ქვეკომისიის მიერ კანდიდატთან გასაუბრება განხორციელდება კითხვა-პასუხის ფორმატით, კანდიდატის მიერ ქვეკომისიისათვის საკუთარი თავისა და შესასრულებელი სამუშაოს შესახებ/შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით მისი სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის წარდგენით, საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე საუბრით, დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებზე, სამუშაო პროცესში არსებულ სირთულეებზე, გამოწვევებზე, შრომის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ჩამოყალიბებულ ხედვასთან და მისი საქმიანობის სფეროს განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ქვეკომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან, კანდიდატის შეფასების მიზნით დასვან სათანადო კითხვები ზემოთხსენებული შინაარსის ფარგლებში.

ქვეკომისია კანდიდატს აფასებს დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების და აღნიშნულისათვის საჭირო კომპეტენციების ფაქტორების გათვალისწინებით, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას შეფასების შემდეგი მეთოდი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი **22 ოქტომბერი 2019 წ.**

1 - არადამაკმაყოფილებელი (უარყოფითი);
2 - დამაკმაყოფილებელი (დადებითი - შეესაბამება დაკავებულ პოზიციას, საჭიროებს სათანადო უნარების განვითარებას));
3 - კარგი (დადებითი - შეესაბამება დაკავებულ პოზიციას, შესაძლებელია იქნას გადამზადებული);
4 - ძალიან კარგი (დადებითი - სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციას).
ქვეკომისიის რეკომენდაცია გაიცემა სხდომაზე დამსწრე წევთა მიერ განხორციელებული შეფასების (ქულებში გამოხატულ ხმათა) შედეგების (ღია კენჭის ყრა) საფუძველზე და გადაწყვეტილება (შესაბამის სსიპ-ში დანიშვნის/გადაყვანის თაობაზე რეკომენდაციების გაცემასთან დაკავშირებით) მიღებულ იქნება ქულათა შორის დადებითი/უარყოფითი შეფასების (ხმათა) უბრალო უმრავლესობით (მაგ: ქვეკომისია უარყოფით შეფასებას მისცემს და სათანადო რეკომენდაციას არ გაუწევს პირს, რომელსაც ქვეკომისიის წევრების მიერ განხორციელებულ შეფასებაში (ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული შედეგი) მიღებული ექნებათ უფრო მეტი (უბრალო უმრავლესობა) უარყოფითი შეფასება (1-არადამაკმაყოფილებელი)), ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამასთანავე, ქვეკომისიის თავმჯდომარის მიერ, ქვეკომისიის სამუშაო ფორმატთან დაკავშირებით განმარტებულ იქნა, რომ ბრძანების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ქვეკომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ქვეკომისიის სამი წევრი მაინც. ქვეკომისიის შემადგენლობას ხელმძღვანელობს ქვეკომისიის თავმჯდომარე/ქვეკომიის თავმჯდომარის მოადგილე, ან ქვეკომისიის თავმჯდომარის მიერ, ზეპირი მითითებით, განსაზღვრული ქვეკომისიის ერთ - ერთი წევრი.

ბრძანების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, ქვეკომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამდივნოს ფუნქციების შესრულება დაევალა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, ხოლო სამდივნოსა და ქვეკომისიას შორის მუშაობის კოორდინაცია დაევალა ქვეკომისიის ერთ - ერთ წევრს, **შორენა ოქროპირიძეს** - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს, რომელთან კორდინაციითაც, დაევალოს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სამსახურს შეიმუშაოს თანამშრომლებთან გასაუბრების გრაფიკი და უზრუნველყოს თანამშრომელთა ინფორმირება გასაუბრების გრაფიკთან დაკავშირებით.

ქვეკომისიამ დაადგინა:

1. გასაუბრების პროცესში კანდიდატის შესაფასებელი კრიტერიუმები (უნარები), დანართი N1 -ის შესაბამისად, შეფასების მექანიზმი (ოქმში განხილული ვერსია), გასაუბრების ფორმატი (ოქმში განხილული ვერსია), ტექნიკურ - ორგანიზაციულ საკითხებზე, მათ შორის, სათანადო გრაფიკების და დღის წესრიგების შედგენაზე პასუხისმგებელი პირები (ოქმში განხილული ვერსია);
2. დაევალოს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უზრუნველყოს თანამშრომელთა გასაუბრების გრაფიკის შემუშავება, ქვეკომისიისთვის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი **22 ოქტომბერი 2019 წ.**

წარმოდგენა და თანამშორმელთან ინფორმირება გასაუბრების გრაფიკთან დაკავშირებით.

II ქვეკომისიის თავმჯდომარე — გიორგი წოწკოლაური

II ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე — თამილა ბარკალაია

წევრები:

გიორგი ჭავჭავაძე

კახაბერ ძიმისტარიშვილი

შორენა ოქროპირიძე

თუდო ისაკაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი № 2

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სპეციალიზებული ქვეკომისიის (შემდგომში - ქვეკომისიის) წევრები:

1. **გიორგი წოწკოლაური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, II ქვეკომისიის თავმჯდომარე;
2. **თამარ გაბუნია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ქვეკომისიის თანათავმჯდომარე;
3. **თამილა ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, II ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
4. **კახამერ ძიმისტარიშვილი** - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
5. **გიორგი ჭავჭავაძე** - სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
6. **ბექა ჯაყელი** - სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
7. **ზაალ კაპანაძე** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ქვეკომისიის წევრი;
8. **შორენა ოქროპირიძე** - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ქვეკომისიის წევრი;
9. **ივანე გოლიაძე** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ქვეკომისიის წევრი;
10. **თეა გვარამაძე** - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, ქვეკომისიის წევრი;
11. **ლაშა ჯინჯიხაძე** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილე, ქვეკომისიის წევრი;
12. **თედო ისაკაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქვეკომისიის წევრი;
13. **ირაკლი ფავლენიშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, პროფესორი;
14. **დავით ზარდიაშვილი** - იურისტი, მუნიციპალური სამართლის ექსპერტი;
15. **ალექსანდრე სვანიშვილი** - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა (GIPA) ინსტიტუტი, პროფესორი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2019 წ.

ქვეკომისიის სხდომის დღის წესრიგი:

1. *ქვეკომისიის განახლებული შემადგენლობის გაცნობითი შეხვედრა და საორგანიზაციო საკითხების შეთანხმება;*

ქვეკომისიის განახლებული შემადგენლობის გაცნობითი შეხვედრა და საორგანიზაციო საკითხების შეთანხმება;

გიორგი წოწკოლაური - ქვეკომისიის თავმჯდომარე

ქვეკომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ II ქვეკომისიის საქმიანობის შეუფერხებლად და დადგენილ ვადებში წარმართვის მიზნით, აგრეთვე, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს გასაუბრებას დაქვემდებარებულ დარჩენილ თანამრომელთა რაოდენობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქვეკომისიის შემადგენლობა გაფართოვებულიყო, რათა ქვეკომისიას, საჭიროების შემთხვევში, მუშაობა წარემართა პარალელური რეჟიმში.

ამ მიზნით, თავმჯდომარემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 ოქტომბრის N01-306/ო ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება (№ 01-341/ო; 06 / ნოემბერი / 2019 წ.) და ქვეკომისიის წევრთა შემადგენლობა გაიზარდა, მათ შორის, აკადემიური წრეებიდან მოწვეული ექსპერტების ჩართულობით.

თავმჯდომარემ წარადგინა ქვეკომისიის ახალი შემადგენლობა, გააცნო მათ ქვეკომისიის მუშაობის სპეციფიკა.

ქვეკომისიამ იმსჯელა და შეთანხმდა, რომ გაფართოებული ქვეკომისიის შემადგენლობის მუშაობა, საჭიროების შემთხვევში, შესაძლებელია, წარიმართოს პარალელური გასაუბრების ფორმატში, რა დროსაც, პარალელური ქვეკომისიის წევრთა კონკრეტული შემადგენლობა განისაზღვროს გასაუბრებას დაქვემდებარებულ პირთა საქმიანობისა და ქვეკომისიის წევრთა სამუშაო გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, ქვეკომისიის პარალელურ რეჟიმში მიმდინარე გასაუბრების მიმართ გავრცელდეს ქვეკომისიის უფლებამოსილების ზოგადი წესი - ქვეკომისიის კონკრეტული შემადგენლობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ქვეკომისიის სამი წევრი მაინც. ქვეკომისიის კონკრეტულ შემადგენლობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე/ქვეკომიის თავმჯდომარის მოადგილე, ან ქვეკომისიის თავმჯდომარის მიერ განსზღვრული ქვეკომისიის ერთ - ერთი წევრი.

ქვეკომისიამ დაადგინა:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2019 წ.

- ქვეკომისიის შემადგენლობის მუშაობა, საჭიროების შემთხვევში, წარიმართოს პარალელური გასაუბრების ფორმატში;

- პარალელური ქვეკომისიის წევრთა კონკრეტული შემადგენლობა განისაზღვროს ქვეკომისიის წევრთა სამუშაო გრაფიკის შესაბამისად;

- ქვეკომისიის პარალელურ რეჟიმში მიმდინარე გასაუბრების მიმართ გავრცელდეს ქვეკომისიის უფლებამოსილების ზოგადი წესი - ქვეკომისიის კონკრეტული შემადგენლობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ქვეკომისიის სამი წევრი მაინც. ქვეკომისიის კონკრეტულ შემადგენლობას ხელმძღვანელობს ქვეკომისიის/ თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე/ქვეკომიის თავმჯდომარის მოადგილე, ან ქვეკომისიის/ თავმჯდომარის მიერ, ზეპირი მითითებით, განსაზღვრული ქვეკომისიის ერთ - ერთი წევრი.

II ქვეკომისიის თავმჯდომარე გიორგი წოწკოლაური

II ქვეკომისიის თანათავმჯდომარე თამარ გაბუნია

II ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილეები

თამილა ბარკალაია

გიორგი ჭავჭავაძე

კახაბერ ძიმისტარიშვილი

ბექა ჯაყელი

წევრები:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2019 წ.

ზაალ კაპანაძე

შორენა ოქროპირიძე

ივანე გოლიაძე

თეა გვარამაძე

ლაშა ჯინჯიხაძე

თედო ისაკაძე

ირაკლი ფავლენიშვილი

დავით ზარდიაშვილი

ალექსანდრე სვანიშვილი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი **27 დეკემბერი 2019 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

სპეციალიზებული ქვეკომისიის (შემდგომში - ქვეკომისია) წევრები:

1. **გიორგი წოწკოლაური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, II ქვეკომისიის თავმჯდომარე;
2. **თამარ გაბუნია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ქვეკომისიის თანათავმჯდომარე;
3. **თამილა ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, II ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
4. **კახამერ ძიმისტარიშვილი** - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
5. **გიორგი ჭავჭავაძე** - სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
6. **ბექა ჯაყელი** - სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
7. **ზაალ კაპანაძე** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ქვეკომისიის წევრი;
8. **შორენა ოქროპირიძე** - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ქვეკომისიის წევრი;
9. **ივანე გოლიაძე** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ქვეკომისიის წევრი;
10. **თეა გვარამაძე** - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, ქვეკომისიის წევრი;
11. **ლაშა ჯინჯიხაძე** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილე, ქვეკომისიის წევრი;
12. **თედო ისაკაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქვეკომისიის წევრი;
13. **ირაკლი ფავლენიშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, პროფესორი;
14. **დავით ზარდიაშვილი** - იურისტი, მუნიციპალური სამართლის ექსპერტი;
15. **ალექსანდრე სვანიშვილი** - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა (GIPA) ინსტიტუტი, პროფესორი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი **27 დეკემბერი 2019 წ.**

ქვეკომისიის სხდომის დღის წესრიგი:

1. *გასაუბრების შედეგების შეფასება;*
2. ქვეკომისიის *მიერ გაცემული რეკომენდაციების შედეგების დამტკიცება.*

1.გასაუბრების შედეგების შეფასება:

გიორგი წოწკოლაური - ქვეკომისიის თავმჯდომარე

ქვეკომისიის თავმჯდომარემ მოახსენა, რომ ქვეკომისიამ დაასრულა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითად შტატში დასაქმებული თანამშრომლების, ასევე, მხოლოდ დასაქმების მიმართულებით მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ძირითად შტატში დასაქმებული თანამშრომლების (შემდგომში - თანამშრომელი), გასაუბრების ეტაპი და მოცემულ ეტაპზე, ქვეკომისიის წევრები შეიკრიბნენ შედეგების შეჯამებისა და შეფასების მიზნით.

ქვეკომისიას ესწრებიდა სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი - მერი მაღლაფერიძე, რომელსაც, მეურვეობა - მზრუნველობის ნაწილში, ეცნობება შესაბამის თანამშრომელთა მიმართ არსებული რეკომენდაციები.

შორენა ოქროპირიძე - ქვეკომისიის წევრი

მოახსენა, რომ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ განახორციელა ქვეკომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური და სამდივნოს ფუნქციები. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სააგენტოს ძირითად შტატში დასაქმებულ პირთა და მხოლოდ დასაქმების მიმართულებით მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობას შეადგენდა 1578 თანამშრომელი, მათ შორის:

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითად შტატში დასაქმებული პირები - 1545;

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხოლოდ დასაქმების მიმართულებით მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები - 33;

ხოლო, სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან - 5 თანამშრომელი.

ზემოხსენებული თანამშრომლებიდან, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულებაში იმყოფებოდა:

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან - 22 თანამშრომელი;

სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან - 1 თანამშრომელი;

შესაბამისად, გასაუბრებაზე მოწვეული იქნა:

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან - 1556 თანამშრომელი;

სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან - 4 თანამშრომელი;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2019 წ.

გასაუბრებაზე გამოცხადდა და ქვეკომისიამ შეაფასა 1554 თანამშრომელი, მათ შორის, ელექტრონულად:

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან - 1550;

სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან - 4.

გასაუბრებაზე არ გამოცხადდა 6 თანამშრომელი:

სააგენტოს მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია თანამშრომლების გასაუბრებაზე არ გამოცხადების მიზეზების თაობაზე, კერძოდ:

- **გრიგოლ გეგელია** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი - იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, გადის მკურნალობას;

- **ნათია კახიანი** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სერვის ცენტრის სპეციალისტი - იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, გადის მკურნალობას;

- **მარინა თოფურია** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარტვილის სერვის ცენტრი, სპეციალისტი - იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, გადის მკურნალობას;

- **თემურ კაკულია** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგანტოს მარტვილის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტი/განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, გადის მკურნალობას;

- **ალექსანდრე ცხომელიძე** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის კონტროლის მონიტორი - იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, გადის მკურნალობას;

- **ინგა კვირიკაშვილი** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტი - გასაუბრებაზე არ გამოცხადების მიზეზთან დაკავშირებით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაცია არ აქვს.

მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, ქვეკომისიამ იმსჯელა თანამშრომელთა არ გამოცხადების მიზეზებთან დაკავშირებით, შეთანხმდა მიზეზების საპატიოდ ცნობის თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი **27 დეკემბერი 2019 წ.**

ქვეკომისიამ შეაფასა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითად შტატში ფაქტიურად დასაქმებული პირები და ასევე, მხოლოდ დასაქმების მიმართულებით მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები და სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ძირითად შტატში ფაქტიურად დასაქმებული პირები - 1554 თანამშრომლის (დანართი 1) დაკავებული პოზიციის შესაბამისი ზოგადი კომპეტენციები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

1. ***ღია კენჭისყრის შედეგების დამტკიცება;***

II ქვეკომისიამ განიხილა წარმოდგენილი შეფასებები და კენჭი უყარა თანამშრომელთა შეფასებებს.

II ქვეკომისიის წევრები შეჯერდნენ და დაეთანხმნენ კენჭისყრის შედეგებს.

ქვეკომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს შეფასების შედეგები;
2. მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, **გრიგოლ გეგელიას, მარინა თოფურიას, თემურ კაკულიას, ნათია კახიანისა და ალექსანდრე ცხომელიძის** გასაუბრებაზე არ გამოცხადება II *ქვეკომისიის მიერ საპატიოდ იქნეს მიჩნეული;*
3. ქვეკომისიის მუშაობის პროცესში მომზადებული მასალა, მათ შორის, ქვეკომისიის ოქმები და შეფასების შედეგები, შესაბამისი პროცედურის დაცვით, გადაეცეს სსიპ - სოციალური მომსახურების ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების სამმართველოს.

II ქვეკომისიის თავმჯდომარე გიორგი წოწკოლაური

II ქვეკომისიის თანათავმჯდომარე თამარ გაბუნია

II ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილეები

თამილა ბარკალაია

გიორგი ჭავჭავაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის II ქვეკომისიის

სხდომის ოქმი №

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2019 წ.

კახაბერ ძიმისტარიშვილი

ბექა ჯაყელი

წევრები:

ზაალ კაპანაძე

შორენა ოქროპირიძე

ივანე გოლიაძე

თეა გვარამაძე

ლაშა ჯინჯიხაძე

თედო ისაკაძე

ირაკლი ფავლენიშვილი

დავით ზარდიაშვილი

ალექსანდრე სვანიშვილი